საგაზაფხულო რეგისტრაცია (2026)

ზღვაჭსი

კოლეჯი

გზა ახალი შესაძლებლობებისკენ

Made with GAMMA

რეგისტრაცია საიტზე: VET.GE

საკონტაქტო ინფორმაცია

+995 422 24 77 50

blacksea.edu.ge

info@blacksea.edu.ge

Made with GAMMA

ელექტროობა

ბათუმი/შუახევი

სწავლის ხანგრძლივობა:13 თვე

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის -ელექტრიკოსის მომზადება. პროგრამა მოიცავს სამრეწველო, კომერციულ და საყოფაცხოვრებო გარემოში ელექტრო გაყვანილობისა და მოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას, ასევე ენერგიის გენერირებას.

დაშვების წინაპირობა: საბაზო ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

- მემონტაჟე ელექტრიკოსი
- შენობის ელექტრიკოსი
- გამანაწილებელი ქსელის ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი
- ქუჩების განათებისა და სასიგნალო მოწყობილობების ელექტრიკოსი
- ელექტროენერგიის გამომმუშავებელი სადგურების ელექტრიკოსი

კურსდამთავრებულს შეუძლია

→ შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

→ ელექტრული წრედების ელემენტები და საზომი ხელსაწყოები

→ CAD-ის გამოყენებით ელექტროობის სისტემის ნახაზი

→ ელექტროსამონტაჟო სამუშაოები და პირველადი გადაუდებელი დახმარება

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

ბათუმი/ქედა

სწავლების ხანგრძლივობა -10 თვე

პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს. პროგრამა ასევე მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას, კომპიუტერულ მედია აპლიკაციებს.

დაშვების წინაპირობა: საბაზო ზოგადი განათლება

თვითდასაქმების შესაძლებლობა

Hardware მხარდაჭერა

კომპიუტერის აპარატურული კომპონენტების დაყენება, გამართვა და ტექნიკური მომსახურება

Software მხარდაჭერა

ოპერაციული სისტემები: Windows, Linux, მობილური — დაყენება, ოპტიმიზაცია, გაუმართაობების აღმოფხვრა

ქსელი და სამეთვალყურეო

მცირე ზომის კომპიუტერული ქსელის და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი და გამართვა

დისტანციური მხარდაჭერა

კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში

Made with GAMMA

კომპიუტერული ქსელი და სისტემები

ინტეგრირებული

სწავლის ხანგრძლივობა:2 წელი

პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე და საშუალო ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს.

ინტეგრირებული: საბაზო განათლება

არაინტეგრირებული: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს:

- მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციებში
- სატელეკომუნიკაციო პროფილის ორგანიზაციებში
- ფილიალების/ობიექტების მქონე ქსელურ ორგანიზაციებში
- მონაცემთა მართვის სააგენტოებში
- დიდი ზომის ორგანიზაციებში Junior ადმინისტრატორად

ძირითადი კომპეტენციები

მცირე და საშუალო ქსელის მონტაჟი და გამართვა; ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგია

Windows და Linux სერვერული სისტემები; სერვერის ვირტუალიზაცია; Cloud პლატფორმები

VOIP ტელეფონია; ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები; ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია

Made with GAMMA

სასტუმროს მომსახურება

ინტეგრირებული

სწავლის ხანგრძლივპობა: 2 სასწავლო წელი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის სასტუმრო საქმის სპეციალისტების მომზადება. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საოჯახო ტიპისა და მცირე ტიპის სასტუმროს მმართველად, ან ნებისმიერი ტიპის სასტუმროში მიღება-განთავსების, ჯავშნებისა და სამეურნეო განყოფილების სპეციალისტად.

დაშვების პირობები

- ინტეგრირებული პროგრამა: საბაზო განათლება
- დუალური პროგრამა: სრული ზოგადი განათლება
- კოოპერაციული პროგრამა: საბაზო ზოგადი განათლება

ადმინისტრაცია და ჯავშნები

- პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვა
- დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურები
- მარაგებისა და შესყიდვების კონტროლი

მომსახურება და უსაფრთხოება

- დასუფთავების მომსახურება
- კვებისა და სასმელების მომსახურება
- სასტუმროს უსაფრთხოება და პრობლემური სიტუაციების მართვა

გაყიდვები და მარკეტინგი

- გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიანობის წარმართვა
- ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია